ოქტომბერი 2014

# გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის პოზიცია ერაყში დაბრუნებასთან დაკავშირებით

*შესავალი*

1. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (შემდგომში UNHCR) მიერ ერაყის შესახებ 2012 წლის სახელმძღვანელო მითითებებისა[1] და ერაყში პალესტინელ ლტოლვილებთან[2] დაკავშირებით 2012 წლის მემორანდუმის გამოქვეყნების შემდეგ, ერაყმა განიცადა ძალადობის ახალი აფეთქება ერთის მხრივ, „ერაყის უსაფრთხოების ძალებისა" (ISF-ის) და ქურთების გასამხედროებულ ფორმირებას (*„პეშმერგა"*) და მეორეს მხრივ, ერაყსა და სირიაში მოქმედ „ერაყისა და ალ შამის ისლამურ სახელმწიფოსა" (შემდგომში ISIS-ი) და მასთან დაკავშირებულ შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორის.[3]

სამოქალაქო პირთა მსხვერპლი, მოკლულთა და დაჭრილთა სახით გამოწვეულია აღნიშნული ძალადობისგან, მათ შორის თვითმკვლელი ტერორისტების იერიშების, დანაღმული ავტომობილების აფეთქებების, საარტილერიო ცეცხლის დაშენის, საჰაერო თავდასხმებისა და სიკვდილით დასჯის შედეგად. . გავრცელებული ინფორმაციით, ISIS-ს მიერ განხორციელებული შეტევების შედეგად, ერაყის მთავრობამ, სრულად ან ნაწილობრივ, დაკარგა კონტროლი ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე, კერძოდ კი ალ ანბარის, ნინევას, სალაჰ-ალ-დინის, კირკუკისა და დიალას რეგიონებზე. მიუხედავად იმისა, რომ ერაყის უსაფრთხოების ძალებმა და ქურთების გასამხედროებულმა ფორმირებებმა, აშშ-ს საჰაერო თავდასხმების მხარდაჭერით, ამ ცოტა ხნის წინ მოახერხეს კონტროლის აღდგენა ზოგიერთ ტერიტორიაზე, (ძირითადად ქურთისტანის რეგიონთან შიდა საზღვრების გასწვრივ),[4] მთლიანობაში, ფრონტის ხაზზე მდგომარეობა არასტაბილური რჩება. კონფლიქტი, რომლის ხელახალ ესკალაციას ალ-ანბარის რეგიონში ადგილი ჰქონდა 2014 წლის იანვარში და რომელიც შემდგომ სხვა პროვინციებზეც გავრცელდა, არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის

---

[1] გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR-ი), *UNHCR-ის* სახელმძღვანელო პრინციპები ერაყიდან თავშესაფარის მაძიებელთა საერთაშორისო დაცვის საჭიროებათა შეფასებისთვის, 2012 წლის 31 მაისი, HCR/EG/IRQ/12/03, http://www.refworld.org/docid/4fc77d522.html. "რისკის პროფილები", რომლებსაც წარმოდგენილი დოკუმენტი შეიცავს, ძალას ინარჩუნებს, მაგრამ რა თქმა უნდა გამოყენებული უნდა იქნეს წარმოშობის ქვეყნის განახლებული ინფორმაციის კონტექსტში.

[2] UNHCR-ი, 2012 წლის მემორანდუმის განახლებული ვერსია. ერაყში პალესტინელი ლტოლვილების დაცვასთან დაკავშირებული მოსაზრებები, 2012 წლის ივლისი, http://www.refworld.org/docid/500ebeea2.html.

[3] თვითაღიარებული "ერაყისა და ალშამის ისლამური სახელმწიფო" (ISIS-ი) (არაბულად: *Ad-Dawlah Al-ʾIslāmiyyah fi Al Iraq wa Al-Sham*), ასევე (ადრე) ცნობილი, როგორც "ერაყის ისლამური სახელმწიფო" (ISI-ი) ან "ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო" (ISIL-ი) და ასევე მოიხსენება, როგორც 'ისლამური სახელმწიფო (IS-ი)'. მაშინ, როდესაც ISIS-ი ყველაზე გამორჩეულ ანტი-სამთავრობო ძალას წარმოადგენს მიმდინარე კონფლიქტში, მთელი რიგი სხვა შეიარაღებული ფორმირებებისა, და მათ შორის ნაქშაბანდის არმია (JRTN-ი), 1920-იანი წლების რევოლუციური ბრიგადები, ანსარ ალ-ისლამი, ერაყის ისლამური არმია, და ზოგიერთი სუნიტური ტომი, ასევე აქტიურად არიან ჩართული კონფლიქტში; UN OCHA-ს, *ჰუმანიტარული დახმარების საჭიროებათა ზოგადი მიმოხილვა*, 2014 წლის 26 სექტემბერი, გვ. 6, http://bit.ly/1xoOfCD; BBC, *ერაყის კრიზისი: მთავარი მოთამაშეები სუნიტთა აჯანყებაში*, 2014 წლის 1 ივლისი, http://bbc.in/1EoGfq0.

[4] ერაყის ქურთისტანის რეგიონი შედგება დაჰუკის, ერბილისა და სულეიმანიას რეგიონებისგან, რომლებიც ქურთისტანის რეგიონული მთავრობის (ქრმ-ი) იურისდიქციას მიეკუთვნებიან. ამასთანავე, ქრმ-ი ახორციელებს *de facto* კონტროლს ერაყის მთავრობასა და ქრმ-ს შორის მდებარე რამოდენიმე სადავო რაიონში; იხ., მაგ. AFP-ი, *ჯიჰადისტების შემართება შესაძლებლობას აძლევს ქურთებს დაიკავონ სადავო ტერიტორიები*, 2014 წლის12 ივნისი, http://shar.es/1mefrU. იხ. ასევე სქოლიო 29.

კატეგორიას მიაკუთვნეს.[5] დღესდღეობით, 2014 წელს მსხვერპლის რაოდენობა ყველაზე მაღალია 2006-2007 წლების კონფლიქტის შემდეგ, რომელიც რელიგიურ სექტებს შორის გაჩაღდა.[6]

### *ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები*

2. ადამიანის უფლებათა შელახვისა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევის ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა დიდ ზეგავლენას ახდენს სამოქალაქო პირთა სიცოცხლეზე, რომელიც იძულებით გადაადგილებისა და დანაკარგების ამსახველი ციფრების მიღმა რჩება. დოკუმენტური მასალა ადასტურებს, რომ კონფლიქტის მხარეების მიერ ირღვევა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალის პრინციპები და უხეშად ირღვევა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი. ISIS-ისა და მასთან დაკავშირებული შეიარაღებული დაჯგუფებების მიერ სისტემატური და ფართოდ გავრცელებული იერიშები სამოქალაქო მოსახლეობაზე შეიძლება გაუტოლდეს ომის დანაშაულსა და დანაშაულს კაცობრიობის წინააღმდეგ. გავრცელებული ინფორმაციით, „ერაყის უსაფრთხოების ძალებისა“ და მასთან დაკავშირებული გასამხედროებული ფორმირებების მიერ სამხედრო ოპერაციები განხორციელდა როგორც პროპორციულობის პრინციპის, ასევე უსაფრთხოების ზომების მიღებასთან დაკავშირებული ვალდებულების დარღვევით, რაც შეიძლება გაუტოლდეს ომის დანაშაულებს. ამასთანავე, მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, „ერაყის უსაფრთხოების ძალებთან“ დაკავშირებული გასამხედროებული ფორმირებები იტაცებენ და მიზანმიმართულად ხოცავენ ადამიანებს.[7]

3.მოწოდებული ინფორმაცის თანახმად, ISIS-ისა და მასთან დაკავშირებული გასამხედროებული ფორმირებების მიერ ჩადენილია ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევები, რომლებიც *"აშკარად სისტემატური და ფართოდ გავრცელებული პრაქტიკის ხასიათს ატარებს"*, მათ შორის დაფიქსირებულია *"თავდასხმები, რომლის უშუალო სამიზნეს წარმოადგენს სამოქალაქო მოსახლეობა და სამოქალაქო ინფრასტრუქტურა; სამოქალაქო პირთა სიკვდილით დასჯისა და სხვა მიზანმიმართული მკვლელობის შემთხვევები; პირთა ძალადობრივი გატაცებები; გაუპატიურება და ქალებისა და ბავშვების მიმართ სექსუალური და ფიზიკური ძალადობის სხვა ფორმები; ბავშვთა იძულებით რეკრუტირება; რელიგიური ან კულტურული მნიშვნელობის მქონე ადგილების განადგურება ან წაბილწვა; ქონების უმიზეზოდ განადგურება და გაძარცვა; და ფუნდამენტური თავისუფლებების უარყოფა."*[8] განსაკუთრებით შემაძრწუნებელია რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფების წევრთა მდგომარეობა, და მათ შორის ქრისტიანების, ი ეზიდების, თურქმენების, შაბაკების, კაკაის, საბაეან-მანდეანთა და შიიტთა, ვინაიდან ISIS-ი და მასთან დაკავშირებული შეიარაღებული დაჯგუფებები *„განზრახ და სისტემატიურად ჩადიოდნენ ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევას აღნიშნული თემების მიმართ, რაც ზოგჯერ მიზნად ისახავდა მათი კონტროლის ქვეშ არსებული ტერიტორიების განადგურებას, ამ ტერიტორიების წართმევას ანამ პირთაგან ტერიტორიების გაწმენდას."*[9]

---

[5] იხ. მაგ. ICRC-ი, *სირია და ერაყი: ICRC-ი მოითხოვს ჰუმანიტარული სამართლის უკეთ შესრულებას,* 26 სექტემბერი, https://www.icrc.org/en/document/syria-and-iraq-icrc-calls-better-compliance-humanitarian-law; გაერთიანებული ერების ერაყის დახმარების მისია (UNAMI-ი) / გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR), *ანგარიში ერაყში არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ: 2014 წლის 5 ივნისი – 5 ივლისი,* 2014 წლის18 ივლისი, http://www.refworld.org/docid/53ce0f0d4.htm.

[6] იხ. ერაყის გვამების დათვლის სამსახურის ანგარიში, რომელიც მომზადდა 2014 წლის 22 ოქტომბერს, https://www.iraqbodycount.org/database/.

[7] იხ. UNAMI-ისა და OHCHR-ის, HRW-ისა და სხვების მიერ მომზადებული შემდგომი ანგარიშები *ერაყში, არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ.*

[8] UNAMI/OHCHR, *ანგარიში ერაყში არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ: 2014 წლის 6 ივლისი – 10 სექტემბერი,* 2014 წლის 2 ოქტომბერი, გვ. i, http://www.refworld.org/docid/542d3eb64.html.

[9] იქვე. გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში უმაღლესი კომისარის მოადგილის, ფლავია პანსიერის თანახმად, "აღნიშნული არაადამიანური და ოდიოზური დანაშაულები *წარმოადგენს სერიოზულ და წინასწარ განზრახულ შეტევას ადამიანის ღირსებასა და ადამიანის უფლებებზე, რომელიც სავარაუდოდ უტოლდება კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს*"; OHCHR-ი, *ადამიანის უფლებათა საბჭო იწვევს საგანგებო სხდომას ერაყში, ISIL-ის მიერ ჩადენილ დარღვევებთან დაკავშირებით*, 2014 წლის 2 სექტემბერი, http://shar.es/11hzuk. გაეროს ადამიანის უფლებათა იმდროინდელი უმაღლესი კომისრის, ნავი ფილაის თანახმად, *"[ISIL-ი] სისტემატურად მიზანმიმართულად დევნის მამაკაცებს, ქალებსა და ბავშვებს მათი ეთნიკური, რელიგიური ან კონფესიური კუთვნილების საფუძველზე და მთელი სისასტიკით ახორციელებს ფართომასშტაბიან ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე მოსახლეობის წმენდას მისი კონტროლის ქვეშ მოქცეულ ტერიტორიებზე"*; გაეროს საინფორმაციო სამსახური, *ერაყის სამოქალაქო მოსახლეობა განიცდის 'შემაძრწუნებელ' დევნას, წმენდას ეთნიკურ ნიადაგზე – გაეროს უფლებათა დაცვის დეპ. უფროსი*, 2014 წლის 25 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/53fc7eb94.html. იხ. ასევე AI-ის ანგარიში, *ეთნიკური წმენდა ისტორიულ ნიადაგზე: ისლამური სახელმწიფოს მიერ უმცირესობათა მიზანმიმართული დევნა ჩრდიოლოეთ ერაყში,* 2014 წლის 2 სექტემბერი, MDE 14/011/2014, http://www.refworld.org/docid/540889bc4.html. იხ. ასევე OHCHR-ი, *ადამიანის უფლებათა საბჭო იწვევს საგანგებო სხდომას ერაყში, ISIL-ის მიერ ჩადენილ დარღვევებთან დაკავშირებით*, 2014 წლის 2 სექტემბერი, http://shar.es/11hzuk; ორგანიზაცია „ამნესტი ინტერნეშნალი" (AI-ი), *ეთნიკური წმენდა ისტორიულ ნიადაგზე: ისლამური სახელმწიფოს მიერ უმცირესობათა მიზანმიმართული დევნა ჩრდიოლოეთ ერაყში*, 2014 წლის 2 სექტემბერი, MDE-ი 14/011/2014, http://www.refworld.org/docid/540889bc4.html;

4. ინფორმაციის თანახმად, ISIS-ის მიერ ერაყისა და ქურთების უსაფრთხოების ძალების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციები ხშირად ხორციელდებოდა სამოქალაქო მოსახლეობაზე მათი შედეგების სრული უგულვებელყოფით. ამასთანავე, ანგარიშების მიხედვით, ამ დაჯგუფების მიერ ხდებოდა წინასწარი განზრახვით ისეთი თავდასხმების განხორციელება, და მათ შორის თვითმკვლელი ტერორისტებისა და დანაღმული ავტომობილების გამოყენებით, რომელიც მიზნად ისახავდა სამოქალაქო მოსახლეობის ან სამოქალაქო ინფრასტრუქტურის განადგურებას, რაც შეიძლება მეტი ადამიანის მოკვლას ან დაჭრას.[10] ISIS-სსეკისრება პასუხისმგებლობა თემის, პოლიტიკურ და რელიგიურ წინამძღოლთა, სახელმწიფო მოხელეთა, პოლიციელთა და სპეციალისტთა მიზანმიმართულ დახოცვასა და ძალადობრივ გატაცებებზე.[11] ISIS-ი და მასთან დაკავშირებული შეიარაღებული დაჯგუფებები ასევე სიკვდილით სჯიდნენ იმ ჯარისკაცებს (ომიდან გასულ პირებს *hors de combat*), პოლიციელებსა და სახელმწიფო მოხელეებს, რომლებიც მონაწილეობას არ იღებდნენ საომარ მოქმედებებში.[12]

5. ISIS-ის მიერ ისლამის მკაცრი ინტერპრეტაციის შემოღება მისი კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ქალთა უფლებების, რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფების წევრთა და იმ პირთა უფლებებთან დაკავშირებით, რომლებიც ისლამის მკაცრი ინტერპრეტაციის მიმდევრებად არ მიიჩნევიან.[13] გარდა ამისა, მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ის პირები, რომლებიც ISIS-ის წინააღმდეგ გამოდიან ან ასეთებად ითვლებიან და/ან რომლებიც ითვლება, რომ ერაყის ან ქურთული უსაფრთხოების ძალებთან თანამშრომლობენ, ექვემდებარებიან სიკვდილით დასჯას, ძალადობრივად გატაცებასა და ქონების უმიზეზოდ განადგურებას.[14]

6. ანგარიშებში აღწერილია ასევე სასტიკი სექსუალური ძალადობის ფაქტები, რომელიც ISIS-ის მიერ იქნა გამოყენებული ქალების, მოზარდი გოგონებისა და ბიჭების მიმართ. გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა შეიარაღებულ კონფლიქტებში სექსუალური ძალადობის საკითხებში, ზეინაბ ჰავა ბანგურამ და გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა ერაყში, ნიკოლაი მლადენოვმა მტკიცედ დაგმეს ISIS-ის მიერ, მისი კონტროლის ქვეშ მოქცეულ ტერიტორიებზე უმცირესობათა ჯგუფების მიმართ ჩადენილი

---

UNAMI / OHCHR, *Report on the Protection of Civilians in the Non International Armed Conflict in Iraq: 2014 წლის 5 ივნისი – 5 ივლისი,* 2014 წლის 18 ივლისი, http://www.ohchr.org/Documents/Countries/IQ/UNAMI_OHCHR_POC_Report_FINAL_18July2014A.pdf; AI-ი, *ჩრდილოეთი ერაყი: სამოქალაქო პირები ცეცხლის ზოლში,* 2014 წლის 14 ივლისი, http://www.refworld.org/docid/53c4e1c84.html; ორგანიზაცია „Human Rights Watch" (HRW), *ერაყი: ISIS-ის მიერ უმცირესობათა წარმომადგენლების ძალადობრივი გატაცების, მოკვლის, გაძევების შესახებ,* 2014 წლის 19 ივლისი, http://www.refworld.org/docid/53cf79964.html; HRW, *ერაყი: ISIS-ის მიერ ადამიანების სიკვდილით დასჯის ადგილის დადგენა*, 2014 წლის 27 ივნისი, http://www.refworld.org/docid/53ce1d8b4.html.

[10] "*ოპერაციების განხორციელებისას, ISIL-ი და მასთან დაკავშირებული შეიარაღებული დაჯგუფებები არ ზრუნავენ სამოქალაქო მოსახლეობის ან სამოქალაქო ინფრასტრუქტურის დაცვაზე, და ზოგჯერ, მათ მიერ განზრახ იქნა განხორციელებული ისეთი ოპერაციები, რომლებიც მიზანმიმართული იყო სამოქალაქო მოსახლეობასა და სამოქალაქო დანიშნულების ობიექტებზე* "; UNAMI/OHCHR, *ანგარიში ერაყში, შეიარაღებულ კონფლიქტში სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ: 2014 წლის 6 ივლისი – 10 სექტემბერი, 2014 წლის* 2 ოქტომბერი, გვ. 8, http://www.refworld.org/docid/542d3eb64.html.

[11] "*ISIL-ი და მასთან დაკავშირებული შეიარაღებული დაჯგუფებები ასევე სისტემატურად განაგრძობდნენ ადამიანების, მათ შორის თემის, პოლიტიკური და რელიგიური ლიდერების, სახელმწიფო მოხელეთა, განათლების სფეროს სპეციალისტების, ჟურნალისტებისა და ჯანდაცვის სფეროს მუშაკების მიზანმიმართულ მკვლელობებსა და ძალადობრივ გატაცებებს* "; UNAMI/OHCHR, *ერაყში, შეიარაღებულ კონფლიქტში სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ ანგარიში: 2014 წლის 6 ივლისი– 10 სექტემბერი*, 2014 წლის 2 ოქტომბერი, გვ. i, http://www.refworld.org/docid/542d3eb64.html.

იხ., მაგ., BBC, *ისლამური სახელმწიფოს სამხედროები ერაყის ორ ჟურნალისტს კლავენ*, 2014 წლის 14 ოქტომბერი, http://bbc.in/1Db75QS; AFP, *IS-ის სამხედროები სიკვდილით სჯიან ოთხ პოლიტიკოს ქალს ჩრდილოეთ ერაყში*, 2014 წლის 11 ოქტომბერი, http://bit.ly/1r7KGeX; გაეროს საინფორმაციო ცენტრი, *გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპ. უფროსი გმობს ISIL-ის მიერ პოლიტიკოსი ქალების 'სასტიკ' მკვლელობებს ერაყში*, 2014 წლის 25 სექტემბერი, http://bit.ly/1CjGVsN; გაზეთი „ვოშინგტონ პოსტი", *ქალაქ მოსულში დახვრიტეს ქალთა უფლებების დამცველი*, 2014 წლის 25 სექტემბერი, http://wapo.st/1wMVnsk.

[12] ერთ-ერთი განსაკუთრებული ინციდენტის დროს, რომელიც UNAMI/OHCHR-ის მიერ დოკუმენტურად იქნა დაფიქსირებული, 2014 წლის 12 ივნისს, 1,500 ჯარისკაცი და უშიშროების ძალების პერსონალი ყოფილი „Speicher" ბანაკის სამხედრო ბაზიდან (სალაჰ ალ-დინი) დაატყვევეს და სიკვდილით დასაჯეს. მკვლელობებზე პასუხისმგებლობა ISIS-მა აიღო; UNAMI/OHCHR, *ერაყში, შეიარაღებულ კონფლიქტში სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ ანგარიში: 2014 წლის 6 ოვლისი – 10 სექტემბერი,* 2014 წლის 2 ოქტომბერი, გვ. 5, 6, http://www.refworld.org/docid/542d3eb64.html. იხ. ასევე გაეროს ანგარიში ერაყთან დაკავშირებით, *გაეროს ემისარი მოუწოდებს გამოძიების დაწყებას „Speicher Massacre" ბანაკში*, 2014 წლის 3 სექტემბერი, http://bit.ly/1uB4pJz; HRW, *ერაყი: ისლამური სახელმწიფოს მიერ ადამიანების სიკვდილით დასჯა თიქრითში*, 2014 წლის 2 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/540991ea4.html.

[13] UNAMI/OHCHR, *ერაყში, შეიარაღებულ კონფლიქტში სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ ანგარიში: 2014 წლის 6 ივლისი – 10 სექტემბერი, 2014* წლის 2 ოქტომბერი, გვ. 6, 10, 11-17, http://www.refworld.org/docid/542d3eb64.html; UNAMI / OHCHR, *ანგარიში ერაყში არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ: 2014 წლის 5 ივნისი – 5 ივლისი, 2014 წლის* 18 ივლისი, გვ. 13-14, 18, 20-21, http://www.refworld.org/docid/53ce0f0d4.htm.

[14] UNAMI/OHCHR, *შეიარაღებულ კონფლიქტში სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ ანგარიში: 2014 წლის 6 ივლისი – 10 სექტემბერი, 2014* წლის 2 ოქტომბერი, გვ.. 5-9, 11, http://www.refworld.org/docid/542d3eb64.html; OHCHR, *პრსრელიზები ერაყსა და ბაჰრეინთან დაკავშირებით*, 2014 წლის 5 სექტემბერი, http://shar.es/11ALlh. იხ. ასევე „Reuters-ი", *ისლამური სახელმწიფოს სიკვდილით სჯის რვა სუნიტს ჩრდილოეთ ერაყში*, 2014 წლის 14 სექტემბერი, http://reut.rs/1tRcR4H; NBC News-ი, *ქრისტიანები გაურბიან ISIS-ის მმართველობას, ჩრდილოეთ ერაყში გაჩაღებული დევნის დროს*, 2014 წლის10 სექტემბერი, http://nbcnews.to/1tKV2rz.

სექსუალური ძალადობის "*ბარბაროსული აქტები*" და "*სასტიკი გაუპატიურების*" ფაქტები.[15] არსებობს ასევე ინფორმაცია ადამიანებით ვაჭრობასთან დაკავშირებით, როგორც ერაყის შიგნით, ასევე მის გარეთაც და ISIS-ისა და მასთან დაკავშირებული დაჯგუფებების მიერ ქალთა ძალადობრივი გატაცების შემთხვევების შესახებ (განსაკუთრებით კი იმ ქალებისა, რომლებიც უმცირეობათა ჯგუფებს მიეკუთვნებიან).[16]

7. 2014 წლის 1 სექტემბერს, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუხმობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისს, რომ გამომძიებელთა ჯგუფი გაეგზავნა ერაყში იმისათვის, რომ გამოეკვლიათ ISIS-ისა და მასთან დაკავშირებული შეიარაღებული დაჯგუფებების მიერ საერთაშორისო სამართლის სავარაუდო დარღვევისშემთხვევები.[17]

8. UNAMI-მ, OHCHR-მა და ადამიანის უფლებათა ორგანიზაციებმა ასევე დოკუმენტურად დააფიქსირეს ომის დროს ერაყის უსაფრთხოების ძალებისა და მათთან დაკავშირებული შეიარაღებული ფორმირებების მიერ ჩადენილი დანაშაულებები და ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევები. ესენი მოიცავს სუნიტ პატიმართა სასამართლოს გარეშე სიკვდილით დასჯის შემთხვევებს ISIS-ის მიერ[18] და ასევე უსაფრთხოების ძალებისა და მათთან დაკავშირებული ფორმირებების მიერ სუნიტ სამოქალაქო პირთა მოტაცებისა და მასობრივი წესით სიკვდილით დასჯის ფაქტებს.[19] გარდა ამისა, ერაყის უსაფრთხოების ძალებს ეკისრება პასუხისმგებლობა სამოქალაქო მოსახლეობის დახოცვაზე დამიზნების გარეშე სამოქალაქო მოსახლეობით დასახლებული პუნქტების არტილერიული და საჰაერო დაბომბვის შედეგად, და მათ შორის ბარელ-ბომბების გამოყენებით.[20]

9. ანგარიშები მიუთითებს რელიგიურ სექტებს შორის ანგარიშსწორებების განახლებაზე: ქვეყნის სხვადასხვა მხარეებში, ძირითადად ბაღდადში, ნაპოვნია სუნიტ მამაკაცთა თვალებახვეული და ხელბორკილებიანი სხეულები, რომლებსაც ეტყობათ, რომ სიკვდილით

---

[15] გაეროს საინფორმაციო ცენტრი, ისლამური სახელმწიფოს მიერ ერაყში ჩადენილი *'ბარბაროსული' სექსუალური ძალადობა – გაერთიანებული ერები*, 2014 წლის 13 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/53f1bba24.html.

[16] HRW-ი, *ერაყი: იძულებით დაქორწინება, იეზიდების სარწმუნოებაზე გადასვლა*, 2014 წლის 12 ოქტომბერი, http://www.hrw.org/news/2014/10/11/iraq-forced-marriage-conversion- yezidis; UNAMI/OHCHR, *ერაყში, შეიარაღებულ კონფლიქტში სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ ანგარიში: 2014 წლის 6 ივლისი – 10 სექტემბერი, 2014* წლის 2 ოქტომბერი, გვ., 15-16, http://www.refworld.org/docid/542d3eb64.html; AFP, ჯიჰადისტების მიერ „ქორწინების მეშვეობით გაყიდული" ათობით იეზიდი ქალი, 2014 წლის 30 აგვისტო, http://shar.es/11jhTj; UN OCHA, *ერაყში იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული კრიზისული ვითარების შესახებ* ანგარიში *No. 8, 2014 წლის 16– 22 აგვისტო, 2014 წლის 22 აგვისტო*, გვ. 2, 4, http://shar.es/11zKe4.

[17] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *ადამიანის უფლებათა საბჭო მოითხოვს უმაღლესი კომისარისგან ადამიანის უფლებათა საკითხებში მისიის სასწრაფოდ გაგ ზავნას ერაყში*, 2014 წლის 1 სექტემბერი, http://shar.es/11jGWx.

[18] AI, *ერაყი: სრული დაუსჯელობა: ერაყში მართვის სადავეები სამხედროების ხელშია*, MDE 14/015/2014, 2014 წლის 14 ოქტომბერი, http://www.amnesty.org/en/library/info/MDE14/015/2014/en; OHCHR, *ადამიანის უფლებათა საბჭო იწვევს საგანგებო სხდომას ერაყში, ISIL-ის მიერ ჩადენილ დარღვევებთან დაკავშირებით*, 2014 წლის 2 სექტემბერი, http://shar.es/11h9uU; HRW, *ერაყო: სუნიტ პატიმართა მასობრივი დახოცვისკამპანია*, 2014 წლის 11 ივლისი, http://www.refworld.org/docid/53c4e8124.html; AI, *ერაყი: ჩვენებები მიუთითებს ანგარიშსწორების მიზნით ათობით პატიმრობაში მყოფ სუნიტთა მკვლელობებზე*, 2014 წლის 27 ივნისი, http://www.refworld.org/docid/53b2662c4.html.

[19] AI, *ერაყი: სრული დაუსჯელობა: ერაყში მართვის სადავეები მილიციის ხელშია*, MDE 14/015/2014, 2014 წლის 14 ოქტომბერი, http://www.amnesty.org/en/library/info/MDE14/015/2014/en; UNAMI/OHCHR, *ერაყში, შეიარაღებულ კონფლიქტში სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ ანგარიში: 2014 წლის 6 ივლისი – 10 სექტემბერი, 2014* წლის 2 ოქტომბერი, გვ.. 19-20, http://www.refworld.org/docid/542d3eb64.html; HRW, *ერაყი: მთავრობის მხარდამჭერ მილიციელთა სიკვდილით დასჯა*, 2014 წლის 31 ივლისი, http://www.refworld.org/docid/53df9ad54.html.

[20] UNAMI/OHCHR, *ერაყში, შეიარაღებულ კონფლიქტში სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ ანგარიში: 2014 წლის 6 ივლისი – 10 სექტემბერი, 2014* წლის 2 ოქტომბერი, გვ.. 18-19, http://www.refworld.org/docid/542d3eb64.html; HRW, *ერაყი: გადარჩენილები აღწერენ მთავრობის მიერ განხორციელებულ საჰაერო დაბომბვას*, 2014 წლის 14 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/5416d1de4.html; OHCHR, *ადამიანის უფლებათა საბჭო იწვევს საგანგებო სხდომას ერაყში, ISIL-ის მიერ ჩადენილ დარღვევებთან დაკავშირებით*, 2014 წლის 2 სექტემბერი, http://shar.es/11h9uU; HRW, *ერაყი: მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში სამთავრობო ძალების მიერ განხორციელებული საჰაერო დამომბვის შედეგად, 2014 წლის* 23 ივლისი, http://www.refworld.org/docid/53d211344.html; AI, *ჩრდილოეთი ერაყი: სამოქალაქო მოსახლეობა ცეცხლის ზოლში, 2014 წლის* 14 ივლისი, MDE 14/007/2014, http://www.refworld.org/docid/53c4e1c84.html; UNAMI / OHCHR, *ანგარიში ერაყში არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ: 2014 წლის 5 ივნისი - 5 ივლისი, 2014 წლის* 18 ივლისი, გვ. 14-15, http://www.refworld.org/docid/53ce0f0d4.htm; HRW, *ერაყი: მთავრობას იერიში მიაქვს ფალუჯას საავადმყოფოზე*, 2014წლის27 მაისი, http://www.refworld.org/docid/538d99144.html.

დასაჯეს.[21] UNAMI-ის ინფორმაციით, სუნიტების მიმართ ბასრას პროვინციაშიც ჰქონდა ადგილი მუქარას, ძალადობრივად გატაცებასა და სიკვდილით დასჯას.[22]

10. ძალადობამ მძიმე ზეგავლენა იქონია ერაყელ ბავშვებზე. მიმდინარე წლის დასაწყისიდან, ერაყში 700-მდე ბავშვია მოკლული ან დასახიჩრებული, და მათ შორის მასობრივი წესით სიკვდილით დასჯილი.[23] ანგარიშები მიუთითებს იმაზე, რომ ბავშვები კონფლიქტის ყველა მხარის შეიარაღებული დაჯგუფებების მიერ რეკრუტირების რისკის ქვეშ იმყოფებიან, მათ შორის როგორც იმ დაჯგუფებების მხრიდან, რომლებიც მთავრობის მხარდაჭერით სარგებლობენ, ასევე მათი მხრიდანაც, ვინც ISIS-სა და მასთან დაკავშირებულ შეიარაღებულ დაჯგუფებებთან ერთად იბრძვიან.[24] ინფორმაციის თანახმად, ISIS-ი ბავშვებს თვითმკვლელ ტერორისტებად იყენებს.[25]

***იძულებით გადაადგილება და მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობას შორის***

11. 2014 წლის დასაწყისში მიმდინარე კრიზისის გაჩაღებამდე, ერაყში უკვე არსებობდა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი იძულებით გადაადგილებულ პირთაგან შემდგარი მოსახლეობის ნაწილი, რომელიც 1.3 მილიონს შეადგენდა. 2014 წელს ISIS-ისა და მასთან დაკავშირებული შეიარაღებული დაჯგუფებების დაწინაურებამ, რომელსაც შედეგად მოჰყვა საბრძოლო მოქმედებები და ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევები, გამოიწვია

---

[21] “*ქვეყნის სხვადსხვა ნაწილებიდან მიიღებოდა ინფორმაცია მრავალრიცხოვანო მკვლელობებისა და სიკვდილით დასჯის შემთხვევების შესახებ. კონფლიქტი ყველაზე მეტად შეეხო ბაღდადის პროვინციას, სადაც ყოველდღე პოულობდნენ დიდი რაოდენობით გვამებს, ხშირად მათი ვინაობის დადგენა შეუძლებელი იყო. ბევრი მსხვერპლი დახვრეტილი იყო, ხელები ზურგს უკან ჰქონდათ შეკრული, ბევრ მათგანს აღენიშნებოდა წამების ნიშნები. ამ თავდასხმების უმრავლესობა რელიგიურ ხასიათს ატარებს*”; UNAMI/OHCHR, *ერაყში, შეიარაღებულ კონფლიქტში სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ ანგარიში: 2014 წლის 6 ივლისი – 10 სექტემბერი, 2014* წლის 2 ოქტომბერი, გვ.. 21-22, http://www.refworld.org/docid/542d3eb64.html. See also NPR, *Fears Of Sectarian Violence Grow In Baghdad*, 6 September 2014, http://n.pr/1nAQAVm; HRW, *მთავრობის მხარდამჭერ შეიარათებულ დაჯგუფებათა სიკვდილით დასჯა*, 2014 წლის 31 ივლისი, http://www.refworld.org/docid/53df9ad54.html; „Reuters-ი“, *ერაყის უშიშროების ძალების მიერ ნაპოვნია 53 თვალებახვეული სხეული ბაღდადის სამხრეთ ნაწილში*, 2014 წლის 9 ივლისს, http://yhoo.it/1pIdqQ5; UPI-ი, *ერაყში, სიკვდილით დასჯა იწვევს სამოქალაქო ომის საშინელებათა გაცოცხლებას“*, 2014 წლის 12 თებერვალი, http://upi.com/2667631; „Reuters-ი“, სექტების წარმომადგენელთა სიკვდილით დასჯის შემთხვევების მატება *ერაყში*, 2013 წლის 27 ნოემბერი, http://reut.rs/18nvRCv.

[22] UNAMI-ის ადამიანის უფლებათა განყოფილების უფროსი ფრანჩესკო მოტას თანახმად, “2014 წლის *23 ივნისიდან, სულ მცირე 19 სუნიტი მამაკაცი სამოქალაქო პირი იქნა მოკლული და კიდევ 19 დაჭრილი მიზანმიმართული მკვლელობებისა და ძალადობრივი გატაცებებისას. ინფორმაცია ბევრი ასეთი ინციდენტის შესახებ მედია საშუალებებში არ გამოქვეყნებულა, მაგრამ თითოეული ასეთი შემთხვევა დადასტურებული იქნა UNAMI-ის მიერ, მრავალი წყაროების მეშვეობით. თითოეული ინციდენტის შემთხვევაში, ადგილობრივმა მოსახლეობამ გამოხატა აზრი, რომ მსხვერპლების დევნა ხდებოდა მხოლოდ მათი სარწმუნოების გამო და არა სხვა მიზეზით. ხელისუფლებამ დამნაშავეები დააფიქსირა, როგორც “დაუდგენელი შეიარაღებული პირები” და არავინ დააპატიმრეს არც ერთ ინციდენტთან დაკავშირებით*,” გაერო ერაყში, *SRSG-ი მლადენოვის გაფრთხილება ბასრას პროვინციაში სუნიტთა უმცირესობების დევნის ესკალაციასთან დაკავშირებით*, 2014 წლის 20 აგვისტო, http://bit.ly/1q0P7gt. იხ. ასევე UNAMI/OHCHR-ი, *ერაყში, შეიარაღებულ კონფლიქტში სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ ანგარიში: 2014 წლის 6 ივლისი – 10 სექტემბერი, 2014* წლის 2 ოქტომბერი, გვ.. 24, http://www.refworld.org/docid/542d3eb64.html; ომის შემსწავლელი ინსტიტუტი, *სამხრეთ ერაყში, სუნიტების ტომების ლიდერებზე თავდასხმების ესკალაცია*, ერაყი, განახლებული ვერსია #40, 2013 წლის 27 ნოემბერი, http://bit.ly/1q0Pacm; „Al-Monitor-ი“, *ერაყის სამხრეთით რელიგიური სექტების იძულებით გადაადგილება ხდება*, 2013 წლის 23 სექტემბერი, http://almon.co/fze; „ესოშიეთიდ პრესი“, *ერაყელი სუნიტები აცხადებენ, რომ ქალაქის სამხრეთ ნაწილში სექტაზე მიმდინარეობს დევნა*, 2013 წლის 17 სექტემბერი, http://yhoo.it/1tthXaF.

[23] გაერთიანებული ერების ოფისის SRSG-ი ბავშვებისა და შეიარაღებული კონფლიქტის საკითხთან დაკავშირებით, *ღია დებატების უშიშროების საბჭოს დადგენილება*, 2014 წლის 8 სექტემბერი, http://shar.es/1a0JxY.

[24] UNAMI/OHCHR, *ერაყში, შეიარაღებულ კონფლიქტში სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ ანგარიში: 2014 წლის 6 ივლისი – 10 სექტემბერი, 2014* წლის 2 ოქტომბერი, გვ.. 17-18, http://www.refworld.org/docid/542d3eb64.html; UN საინფორმაციო სამსახური, ერაყში ჩადენილი წარმოუდგენელი მასშტაბის *მძიმე დანაშაულები, გამოაცხადა გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ*, 2014 წლის 1 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/5405bb8b4.html; UNAMI / OHCHR, *ანგარიში ერაყში არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ: 2014 წლის 5 ივნისი - 5 ივლისი, 2014 წლის* 18 ივლისი, გვ. 20, http://www.refworld.org/docid/53ce0f0d4.htm.

[25] გაერთიანებული ერების ოფისის SRSG-ი ბავშვებისა და შეიარაღებული კონფლიქტის საკითხებში, *ღია დებატების უშიშროების საბჭოს დადგენილება*, 2014 წლის 8 სექტემბერი, http://shar.es/1a0JxY.

ფართომასშტაბიანი იძულებით გადაადგილების მიმდევრობითი ტალღები.[26] 2014 წლის იანვარსა და ოქტომბრის დასაწყისს შორის პერიოდში, 1.8 მილიონზე მეტი ადამიანი, რომელთაგანაც თითქმის ნახევარს შეადგენდნენ ბავშვები, იძულებით გადაადგილდა ერაყის 1,850-ზე მეტ შორეულ რაიონში, ძირითად ისეთი პროვინციებიდან როგორიცაა ნანევა, ალ ანბარი, სალაჰ-ალ-დინი, დიალა, ბაღდადი, კირკუკი და ბაბელი.[27] მხოლოდ 2014 წლის აგვისტოში, 720,000 მეტი ადამიანის გადაადგილება მოხდა, ძირითადად ნანევას პროვინციიდან. იძულებით გადაადგილებულ პირთა (იგპ-თა) უმეტესობა გაიქცა ერაყის ჩრდილოეთ რაიონებში, და მათ შორის ქურთისტანის რეგიონსა და ნანევას პროვინციის სხვა ნაწილებში, ან გადაადგილდებოდნენ ალ-ანბარის ტერიტორიაზე. ქურთისტანის რეგიონი ამჟამად მასპინძლობს 850,000 მეტ იძულებით გადაადგილებულ პირს,[28] რომლის უმრავლესობა (თითქმის 550,000 ადამიანი) თავშესაფარს დაჰუკის პროვინციაში ეძებდა. [29] ამასთან, ქურთისტანის რეგიონმა უკვე მიიღო 200,000-მდე იძულებით გადაადგილებული პირი, რომლებიც ძალადობის წინა ტალღებს გამოყვა 2003 წლიდან და ასევე 200,000 მეტი სირიელი ლტოლვილი.[30] იძულებით გადაადგილება ასევე გრძელდება ბაღდადში

[26] 2014 წლის იანვარსა და აგვისტოს შორის პერიოდში, შესაძლებელია იძულებით გადაადგილების სამი დიდი ტალღის გამოყოფა. იძულებით გადაადგილების პირველი ტალღა გაჩნდა ალ-ანბარის პროვინციის აღმოსავლეთით. იგი დაიწყო 2013 წლის დეკემბრის ბოლოს და 2014 წლის იანვარში, სამხედრო ოპერაციებისა და ქალაქის რაიონების დაბომბვების ფაქტების დაფიქსირების შემდეგ. იძულებით გადაადგილების მეორე დიდი ტალღა წამოვიდა 2014 წლის 6 ივნისის შემდეგ, როდესაც IS-იმ და მასთან დაკავშირებულმა შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა იერიში მიიტანეს მოსულზე - სიდიდით ქვეყნის მეორე ქალაქზე. რამოდენიმე დღის განმავლობაში, ქალაქი დატოვა 450,000-ზე მეტმა ადამიანმა (ანუ მოსახლეობის თითქმის ერთმა მეოთხედმა), და მათ შორის რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფების ბევრმა წევრმა. იძულებით გადაადგილების ბოლო ტალღა დაიწყო 3 აგვისტოს, მას შემდეგ რაც IS-მა და მასთან დაკავშირებულმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა დაიკავეს ქალაქი სინჯარი (ნანრვა), რასაც შედეგად მოჰყვა დაახლოებით 300,000 პირის იძულებით გადაადგილება. მათი უმრავლესობა არიან იეზიდები, რომელთაგანაც ბევრი, სინჯარის მთის გავლით, გადავიდა სირიასა და ერაყის ქურთისტანის რეგიონში; UN OCHA, *ჰუმანიტარულ საჭიროებათა მიმოხილვა*, 2014 წლის 26 სექტემბერი, გვ. 5, http://bit.ly/1xoOfCD. მოსალოდნელია იძულებით გადაადგილების მეოთხე ტალღა, რომელსაც წინასწარი შეფასებით მოჰყვება 180,000 პირის გადაადგილება, IS-ის ძალებისა და მათთან დაკავშირებული შეიარაღებული დაჯგუფებებოს მიერ ქალაქ ჰიიტსა და მიმდებარე ტერიტორიებზე (ალ-ანბარი) 2014 წლის ოქტომბრის დასაწყისში კონტროლის აღების შედეგად. ცნობილია, რომ ახლად გადაადგილებლთაგან ბერვრი ადრე უკვე იყო იძულებით გადაადგილებული ალ-ანბარის სხვა რაიონნებიდან; UNHCR-ი, *ერაყში იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული კრიზისი ღრმავდება, იმ სამოქალაქო პირთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, რომლებმაც თავი დააღწიეს ISIS-ის მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებულ თავდასხმებს*, 2014 წლის 14 ოქტომბერში, http://www.unhcr.org/543d10119.html. წარმოდგენილი დოკუმენტის დაწერის პერიოდში დადასტურდა ქალაქ ხიიტიდან 40,000 პირის იძულებით გადაადგილების ფაქტი. თუმცა საერთო რაოდენობის განსაზღვრა რთულია ჰუმანიტარული დახმარების მიწოდების ძალზე შეზღუდული შესაძლებლობის გამო; UN OCHA, *ერაყში იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული კრიზისის შესახებ ანგარიში No. 16, 2014 წლის 11 - 17 ოქტომბერი, 2014 წლის 17 ოქტომბერი*, გვ. 1, http://shar.es/1mQFiG.

[27] მოცემული ციფრი არ ითვალისწინებს ალ-ანბარის პროვინციის ქალაქ ჰიიტიდან ახლად გადაადგილებულთა რაოდენობას. ჰუმნიტარული დახმარების ქვეყნის ჯგუფის მიერ დაგეგმვის მიზნებისთვის გამოყენებულია ციფრი 1.8 მილიონი; IOM-ი, გადაადგილების მიკვლევადობის მატრიცა, მე- VII -ე რაუნდის პირველი ანგარიში, 2014 წლის 20 ოქტომბერი, გვ. 1, http://shar.es/1mQDKl.

[28] წარმოდგენილ ციფრში გათვალისწინებულია მოსაზღვრე სადავო ტერიტორიები, რომლებსაც დახმარება მიეწოდება ქურთისტანის მეშვეობით. ესენია აკრე და ალ-შიკანი, ნანევას პროვინციაში და კიფრი და ხანაქინი, დიალას პროვინციაში; IOM-ი, გადაადგილების მიკვლევადობის მატრიცა, მე- VII -ე რაუნდის პირველი ანგარიში, 2014 წლის 20 ოქტომბერი, გვ. 3, http://shar.es/1mQDKl. *მყისიერი რეაგირების გეგმა (IRP) ქურთისტანის რეგიონში იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული კრიზისისთვის*, რომელიც ერთობლივად შემუშავდა დაგეგმარების სამინისტროს მიერ (ქრმ-ი და გაერო). შეფასების თანახმად ქურთისტანის რეგიონში 862,000 იძულებით გადაადგილებული პირია და აქედან დახუკი მასპინძლობს იძულებით გადაადგილებულ პირთა ყველაზე დიდ რაოდენობას (63 პროცენტს); შემდეგ მოდიან ერდილი (20 პროცენტი) და სულაიმაია (16 პროცენტი); დაგეგმარების სამინისტრო - ქურთისტანის რეგიონული მთავრობა/გაერო, ქურთისტანის რეგიონული მთავრობის მყისიერი რეაგირების გეგმა (IRP) იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული კრიზისისთვის: 2014 წლის 15 სექტემბერი - 15 ნოემბერი, 2014 წლის 28 სექტემბერი, გვ. 2, http://shar.es/1molzo.

[29] მთლიანი ციფრი მოიცავს იძულებით გადაადგილებულ პირებს აკრესა და ალ-შიკანის (ნანევას პროვინციაში) და კიფრისა და ხანაქინის (დაიალას პროვინციაში) სადავო ტერიტორიებზე, რომლებზეც პრეტენზიას აცხადებენ როგორც ცენტრალური მთავრობა, ასევე ქურთისტანის რეგიონული მთავრობა და რომელთა სტატუსიც უნდა განსაზღვრულიყო ერაყის 2005 წლის კონსტიტუციის 140-ე მუხლის შესაბამისად. აღნიშნული ტერიტორიები de facto იმყოფებიან ქურთისტანის რეგიონული მთავრობის (ქრმ-ის) კონტროლის ქვეშ, რომელიც ასევე უზრუნველყოფს იძულებით გადაადგილებულ პირთა მომსახურებასა და დახმარებას; IOM-ი, გადაადგილების მიკვლევადობის მატრიცა, მე-VI-ე რაუნდის მესამე ანგარიში, 2014 წლის ოქტომბერი, გვ. 3, http://iomiraq.net/file/1270/download?token=aH5gsss0; ერთობლივი ანალიზისა და პოლიტიკის შემუშავების განყოფილება (JAPU), დიალას პროვინციის პროფილი, 2014 წლის ოქტომბერი, გვ. 1, http://www.jauiraq.org/gp/print/GP-Diyala.asp; ერთობლივი ანალიზისა და პოლიტიკის შემუშავების განყოფილება, ნაინავას პროვინციის პროფილი, 2014 წლის ოქტომბერი, გვ. 1, http://www.jauiraq.org/gp/print/GP- Ninewa.asp.

[30] სირიელ ლტოლვილთა რაიოდენობის ამსახველი ციფრი კიდევ უფრო გაიზრდება, ვინაიდან დარეგისტრირებულია ათასობით ახლად ჩამოსული სირიული ქალაქი ქობანედან, მას შემდეგ რაც თურქეთსა და ქურთისტანის რეგიონს შორის ამ წოტა ხნის წინ

და მის ფარგლებში და იმ რეგიონებში, რომლებიც ბაღდადის სამხრეთით მდებარეობს (ესენია ძირითადად ნაჯეფი, ქერბელა, ვასითი და ბაბელი).[31] 2014 წელს იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის, ბევრი სავარაუდოდ უკვე იყო იძულებით გადაადგილებული ადრე მომხდარი კონფლიქტების შედეგად ერაყში.[32] ინფორმაციის თანახმად, კონფლიქტის სხვა ტერიტორიებზე გადანაცვლებასთან ერთად, ბევრ ადამიანს მრავალჯერ მოუწია იძულებით გადაადგილება,[33] და მათ შორის იძულებით გადადგილებულ პირთა ბანაკებიდან, რომლებიც მოეწყო ნანევას პროვინციაში სადავო ტერიტორიებზე და ქურთისტანის რეგიონთან შიდა საზღვრის სიახლოვეს.[34] ვინაიდან საბრძოლო მოქმედებები ერაყის ჩრდილოეთ და ცენტრალურ ერაყში გრძელდება, მოსალოდნელია პირთა შემდგომი იძულებით გადაადგილება.[35]

---

გაიხსნა საზღვარი. 2014 წლის 20 ოქტომბრისთვის, 10,000-ზე მეტი სირიელი, თურქეთის გავლით, ჩამოვიდა ერაყის ქურთისტანის რეგიონში; UNHCR-ი, 2014 წლოის 22 ოქტომბერი. იხ. ასევე UNHCR-ი, *სირიისთვის რეაგირების რეგიონული გეგმა – ერაყი*, განახლდა 2014 წლის 30 სექტემბერს, http://data.unhcr.org/syrianrefugees/country.php?id=103; დაგეგმარების სამინისტრო - ქრმ-ი / გაერო, *მყისიერი რეაგირების გეგმა იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული კრიზისისთვის ერაყში ქურთისტანის რეგიონში: 2014 წლის 15 სექტემბერი - 15 ნოემბერი, 2014 წლის* 28 სექტემბერი, გვ. 3, http://shar.es/1molzo; IOM / UNAMI / UN OCHA, *ერაყის ქურთისტანის რეგიონს (KR-I) ყველაზე მეტად შეეხო ძალადობის ამჟამინდელი ტალღა, ვინაიდან მიმდინარე წელს მას თავი შეაფარა 850,000 მეტმა იძულებით გადაადგილებულმა ერაყელმა, 2014 წლის* 30 აგვისტო, http://bit.ly/1oUo8Nz.

[31] IOM-ი, გადაადგილების მიკვლევადობის მატრიცა, მე- VII -ე რაუნდის პირველი ანგარიში, 2014 წლის 20 ოქტომბერი, გვ. 4, http://shar.es/1mQDKl. ათობით ათასი (შიიტი) შაბაქთა და თურქმენთა თემები ნინევას დაბლობიდან და ტალ აფარას რაიონიდან ცდილობდნენ თავშესაფარის მიღებას სამხრეთ პროვინციებში; REACH, *უმცირესობაში მყოფ შაბაქ და თურქმენ შიიტთა იძულებით გადაადგილება ტალ აფარისა და ნაინავას მდაბლობიდან, 2014 წლის ივნისი - 18 აგვისტო, 2014 წლის* 18 აგვისტო, http://shar.es/11jjci. See also Associated Press, *იძულებით გადაადგილებული ერაყელები, ეკონომიკური სირთულეების გამო, სავაჭრო ომს ეწევიან შიიტთა წმინდა ქალაქში, სახლიდან მოშორებით, 2014 წლის* 14 აგვისტო, http://fxn.ws/1sZCwKb.

[32] REACH, *ერაყში იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული კრიზისის მიმოხილვა, 2014 წლის 3–18 აგვისტო, 2014* წლის 18 აგვისტო, გვ. 1, http://shar.es/1moZ0V; UN OCHA, *ანგარიში ერაყში იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული კრიზისის შესახებ No. 1, 2014 წლის* 4 ივლისი, http://shar.es/1moZA0. ერაყში, იძულებით გადაადგილების ტალღების შესახებ 1970-იანი წლების შემდგომ, იხ. იძულებით გადაადგილების მონიტორინგის ცენტრი, *ერაყის იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობის ამსახველი ციფრების ანალიზი, 2014 წლის* 8 სექტემბერი, http://www.internal-displacement.org/middle-east-and-north-africa/iraq/figures-analysis/.

[33] მაგალითად, დაახლოებით 50,000 იძულებით გადაადგილებულმა პირმა (რომელთაგანაც უმრავლესობას ქრისტიანები წარმოადგენენ), რომლებიც იძულებით გადაადგილდნენ ქალაქ მოსულიდან ნაინავას დაბლობის სოფლებსა და ქალაქებში 2014 წლის ივნისის დასაწყისში, კიდევ ერთხელ დატოვა საცხოვრებელი ადგილები, როდესაც აგვისტოს დასაწყისში აქ IS-ი ფორმირებები შემოვიდა; REACH, *ქრისტიანულ თემთა გადაადგილება ნაინავას მდაბლობიდან, 2014 წლის 3 - 7 აგვისტო, 2014 წლის 7 აგვისტო*, http://shar.es/11jCUE. ანალოგიურად, ბევრმა შაბაქი და თურქმენი ქალაქ მოსულიდან და ტალ აფარიდან იძულებული გახდა ხელმეორეთ დაეტოვებინა საცხოოვრებელი ადგილები, როდესაც IS-ის ძალებმა და მათთან დაკავშირებულმა შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა უფრო ფართო ტერიტორიები დაიკავეს ერაყის ჩრდილოეთით; REACH, უმცირესობათა *შაბაქისა და თურქმენი შიიტი წარმომადგენლების იძულებით გადაადგილება ტალ აფარიდან და ნაინავას დაბლობიდან, 2014 წლის ივნისი - 18 აგვისტო,* 2014 წლის 18 აგვისტო, http://shar.es/11jjci. იხ. ასევე UNHCR-ი, *ერაყში იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული კრიზისი ღრმავდება, იმ სამოქალაქო პირთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, რომლებმაც თავი დააღწიეს ISIS-ის მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებულ თავდასხმებს,* 2014 წლის 14 ოქტომბერში, http://www.unhcr.org/543d10119.html; REACH, *ერაყში იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული კრიზისის მიმოხილვა, 2014 წლის 3 – 18 აგვისტო, 2014 წლის 18 აგვისტო*, გვ. 1, http://shar.es/1moZtn; ინტეგრირებული რეგიონული საინფორმაციო ქსელები (IRIN), *ერაყისთვის გაწეული დახმარება 'არაადექვატურია', მიუხედავად დიდი ოდენობით გამოყოფილი დაფინანსებისა, 2014 წლის 15 აგვისტო*, http://shar.es/11jQNu.

[34] ხაზაირისა და გარმავას ბანაკებში, იძულებით გადაადგილებულმა პირებმა ხელმეორედ მიატოვეს საცხოვრებელი ადგილები, როდესაც შეიარაღებული დაჯგუფებები ამ რაიონებში შემოვიდნენ 2014 წლის აგვისტოში. მოგვიანებით იძულებით გადადგილებული პირები კვლავ დაბრუნდნენ ბანაკებში, მაგრამ მათ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით შეშფოთება კვლავაც არსებობს; ACAPS, *საინფორმაციო ნარათი: ძალადობის ჰუმანიტარული შედეგები ერაყის ჩრდილოეთ და ცენტრალურ ნაწილში, 2014 წლის* 4 სექტემბერი, გვ. 4, http://shar.es/11j9od; IRIN-ი, *ერაყისთვის გაწეული დახმარება 'არაადექვატურია', მიუხედავად დიდი ოდენობით გამოყოფილი დაფინანსებისა, 2014 წლის 15 აგვისტო*, http://www.refworld.org/docid/53f322794.html; UN OCHA, *ერაყისთვის იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული კრიზისული სიტუაციის შესახებ ანგარიში No. 7, 2014 წლის 9 – 15 აგვისტო, 2014 წლის 15 აგვისტო*, გვ. 2, http://shar.es/1moZ8c; „New Internationalist-ი", ერაყის იძულებით გადაადგილებული პირები ხელმეორედ გაურბიან სამხედრო დაჯგუფებების თავდასხმებს, *2014 წლის* 11 აგვისტო, http://shar.es/11zRkz; UN OCHA, *ერაყში იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული კრიზისის შესახებ ანგარიში No. 6, 2014 წლის 2 – 8 აგვისტო, 2014 წლის* 8 აგვისტო, გვ. 2, http://shar.es/11zB7N.

[35] UN OCHA, *ჰუმანიტარული საჭიროებების მოკლე მიმოხილვა*, 2014 წლის 26 სექტემბერი, გვ. 5, http://bit.ly/1xoOfCD

12. ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა ასევე აიძულეს ერაყელები, რომ საზღვარი გადაელახად უსაფრთხოებისა და დაცვის მოპოვების მიზნით რეგიონის სხვა ქვეყნებში.[36] ამ რეგიონში, UNHCR-ის ოფისებმა აღნიშნეს, რომ ბოლო კვირებში გაიზარდა რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა როგორც ჩამოსულ, ასევე იმ ერაყელთა შორის, რომლებიც უკვე იმყოფებიან ამა თუ იმ კონკრეტულ ქვეყანაში: კერძოდ თურქეთში,[37] იორდანიასა[38] და სირიაში, ხოლო უფრო ნაკლები რაოდენობა დაფიქსირდა ეგვიპტესა[39] და ლიბანში.[40] ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში, UNHCR-ი დღეს-დღეებით ერაყიდან 6,000-ზე მეტ იეზიდ ლტოლვილს ეხმარება. აგვისტოში ჩამოვიდა ათობით ათასი ადამიანი, რომელმაც თავი დააღწია IS-ის საომარ ოპერაციებს სინჯარში (ნანევა). ლტოლვილები, და განსაკუთრებით ქალები და ბავშვები, ჩამოვიდნენ უკიდურესად მოსუსტებულ მდგომარეობაში, ვინაიადნ საზღვრიდან გრძელი გზა გამოიარეს: აწუხებდათ წყურვილი და შიმშილი და ბევრ მათგანს დაუმუშავებელი ჭრილობები ჰქონდათ.[41] წინა წლებთან შედარებით, 2014 წელს ევროპაში ასევე გაიზარდა ერაყიდან შესაფარის მაძიებელთა განაცხადების რაოდენობა.[42]

13. მსხვერპლთა ამსახველი ციფრები 2014 წელს მკვეთრად გაიზარდა წინა წლებთან შედარებით. ოფიციალური მონაცემებით, 2014 წლის იანვრიდან ოქტომბრის ბოლომდე პერიოდში, ერაყში რეგისტრირებულ გარდაცვლილ სამოქალაქო პირთა რაოდენობა 13,600-ზე მეტს შეადგენს. 2013 წლის პირველ 10 თვეში 7,800 დაღუპულ სამოქალაქო პირთა რაოდენობასთან შედარებით, ეს 2006-2007 წლებში რელიგიურ სექტებს შორის კონფლიქტის

---

[36] UNHCR, *ISIS-სგან იორდანიასა და თურქეთში გამოქცეულ ერაყელ ლტოლვილთა რაოდენობის მკვეთრი მატება*, 2014 წლის 23 სექტემბერი, http://www.unhcr.org/54214cfe9.html.

[37] დაახლოებით 103,000 ერაყელმა ლტოლვილმა რეგისტრაციისთვის მიმართა UNHCR-ს ან მის პარტნიორებს თურქეთში, და მათ შორის 65,000 ადამიანმა 2014 წლის ივნისიდან, როდესაც IS-ის შეიარაღებულმა ძალებმა აიღეს ქალაქი მოსული და მისი მიმდებარე ტერიტორიები. UNHCR-ს გააჩნია ინფორმაცია კიდევ ათასობით ერაყელზე, რომლებიც ამჟამად თურქეთის აღმოსავლეთით ცხოვრობენ და მომავალში უნდა გაიარონ რეგისტრაცია. კატეგორიების განსაზღვრისას, 2,500-ზე მეტ ერაყელ ლტოლვილთაგან, რომლებმაც რეგისტრაციისთვის მიმართეს UNHCR-ის პარტნიორს ანკარაში, თითქმის ნახევარმა განაცხადა, რომ IS-ის მიერ განხორციელებულ შეტევების გამო დატოვეს ქვეყანა, ხოლო კიდევ 20 პროცენტმა აღნიშნა, რომ IS-ის თავდასხმების შიშის გამო დატოვეს ქვეყანა. დამატებით 20 პროცენტმა მიუთითა, რომ მათ თავი დააღწიეს რელიგიურ ნიადაგზე ძალადობას. გამოკითხული ოჯახების თითქმის ნახევარს ქურთები შეადგენდნენ, 33 პროცენტს კი არაბები.

[38] 2013 წლის ბოლოს, ალ-ანბარში ძალადობის შედეგად მოიმატა იორდანიაში ჩამოსულ ერაყელთა რაოდენობამ. მას შემდეგ რაც IS-იმ და მასთან დაკავშირებულმა შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა, 2014 წლის ივნისის დასაწყისში, ქალაქ მოსულზე კონტროლი აიღეს, ჩამოსაულთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. მაშინ როდესაც ყოველ დღე, საშუალოდ, 30 ერაყელი მიმართავდა UNHCR-ს 2014 წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში, ივნისის შემდეგ ეს რიცხვი გაორმაგდა (დღეში 65 პირი) და აგვისტოსა და სექტემბერში ყველაზე მაღალი რიცხვი (დღეში 120 პირი) დაფიქსირდა. დღემდე, მიმდინარე წელს 10,600 ერაყელმა ლტოლვილმა გაიარა რეგისტრაცია UNHCR-ში, იორდანიაში და აქედან 1,383 მხოლოდ აგვისტოს თვეში – ახლად დარეგისტრირებულთა ყველაზე მაღალი რიცხვი 2007 წლიდან. იმ ლტოლვილთა მზარდი რაოდენობა, რომლებიც საჭიროებენ დაცვასა და დახმარებას, ემატება იორდანიაში უკვე ხანგრძლივი დროის განმავლობაში მყოფ ერაყელ მოსახლეობას (2014 წლის ივლისის ბოლოს დარეგისტრირებულია 30,300-ზე მეტი ერაყელი ლტოლვილი) ახლად ჩამოსულთა თითქმის ორი მესამედი (60 პროცენტი) წარმოშობით ნინევას, სალაჰ ალ-დინისა და ალ-ანბარის პროვინციებში IS-ის მიერ კონტროლირებადი რაიონებიდან არიან. ლტოლვილები ამ რაიონებიდან ამბობენ, რომ ისინი იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ქვეყანა იმის შიშით, რომ მათ სახლებს დაუწვავდნენ, ძალით მიაღებინებდნენ ისლამს, იძულებით დააქორწინებდნენ და ასევე მოტაცებისა და საჯარო მუქარების გამო. იორდანიაში ახლად ჩამოსულ ლტოლვილთა დანარჩენმა ნაწილმა თავი დააღწია რელიგიურ ნიადაგზე ძალადობას ბაღდადსა და ბასრაში.

[39] იმის გათვალისწინებით, რომ ეგვიპტეს ერაყთან საერთო საზღვარი არ გააჩნია და ერაყელებს ეგვიპტეში მოსახვედრად ესაჭიროებათ ვიზა, აქ ჩამომსვლელთა მნიშვნელოვანი რაოდენობა მოსალოდნელი არ არის. თუმცა, იმ ერაყელთა შორის, რომლებიც უკვე იმყოფებიან ეგვიპტეში, მატულობს მათი რაოდენობა, ვინც UNHCR-ს მიმართა რეგისტრაციისთვის. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ტენდენცია კვლავაც გაგრძელდება ისეთი ფაქტორების გამო, როგორიცაა ერაყელთა განკარგულებაში არსებული ეკონომიკური საშუალებების შემცირება, ერაყში დაბრუნების ნაკლები შესაძლებობები და ერაკში დარჩენილი ოჯახის წევრებისგან მწირი ფულადი გზავნილები.

[40] 2014 წლის ივლისიდან, ყოველდღიურად მატულობდა ლივანში ახლად ჩამოსულთა რაოდენობა და პროგნოზის თანახმად, ამჟამინდელი ტემპების ჩენარჩუნების პირობებში, 2014 წლის ბოლომდე, დამატებით კიდევ 3,000-მდე ერაყელი იქბება დარეგისტრირებული, რომელიც დაემატება უკვე დარეგისტრირებულ 7,000-მდე პირს.

[41] ეზიდების დიმა რაოდენობამ, სირიაზე გავლით, გადავიდნენ ერაყის ქურთისტანის რეგიონში; UNHCR, *მძიმე მარშრუტი უსაფრთხოებისკენ ერაყის მზიანი სინჯარის მთებზე გადის*, 2014 წლის 20 აგვისტო, http://www.unhcr.org/53f490159.html; UNHCR, *ეზიდთა ნაკადი სირიაში სინჯარის მთიდან, UNHCR-ის მიერ დახმარების პროგრამის ამოქმედება*, 2014 წლის 14 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/53ecc9c54.html.

[42] *2014 წლის მეორე კვარტალს 2013 წლის მეორე კვარტალთან თუ შევადარებთ*, თავშესაფარის მაძიებელ პირთა რაოდენობა ევროკავშირში ერთი მესამედით, ანუ 2,355-დან 3,130-მდე გაიზარდა; „ევროსტატი“, *პირები, რომელბიც თავშესაფარს ითხოვენ და პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებები თავშესაფარის განაცხადებთან დაკავშირებით: 2014 წლის მეორე კვარტალი*, გვ. 5, http://epp.eurostat.ec.europa.eu/cache/ITY_OFFPUB/KS-QA-14-011/EN/KS-QA-14-011-EN.PDF.

ესკალაციის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.[43] გაეროს მიერ დოკუმენტურად დაფიქსირდა 7,700-ზე მეტი სამოქალაქო პირის სიკვდილი ერაყში (ალ ანბარის გამოკლებით) 2014 წლის იანვრიდან სექტემბრამდე პერიოდის განმავლობაში. ეს მოიცავს წინასწარი შეფასებით 4,800-ზე მეტ მსხვერპლს სამოქალაქო მოსახლეობაში 2014 ივნისიდან, როდესაც IS-მა და მასთან დაკავშირებულმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა დაიწყეს საომარი მოქმედებები ერაყის ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით.[44] ერაყში გაეროს დახმარების მისიის ინფორმაციით (UNAMI-ი), მსხვერპლთა რაოდენობის თვალსაზრისით, 2014 წლის განმავლობაში ყველაზე მეტად დაზარალდა ბაღდადი, შემდეგ კი (ალ ანბარის გამოკლებით, და არა ყოველთვის იმავე თანმიმდევრობით) ნანევას, სალაჰ-ალ-დინის, კირკუკის, ბაბელისა და დიალას პროვინციები.[45] ერაყის მთავრობამ გამოაქვეყნა გარდაცვლილთა რაოდენობის ამსახველი ციფრები 2014 წლის იანვრიდან ივნისამდე პერიოდის. გარდაცვლილთა რაოდენობა შეადგენს 6,676 ადამიანს, საიდანაც 5,322 სამოქალაქო პირია, 512 პოლიციელი და 842 შეიარაღებული ძალების წევრი.[46]

14. ძალადობის ესკალაციამ გამოიწვია მსხვერპლთა რიცხვის შემდგომი ზრდა, რომელსაც დაემატა იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც გარდაიცვალნენ ისეთი მიზეზების გამო, როგორიცაა საკვების, წყლისა და სამედიცინო მომსახურების ხელმიუწვდომლობა,[47] ჭრილობები და შეზღუდული შესაძლებლობები,[48] ქონებისა და საარსებო საშუალებების განადგურება[49] და სიცოცხლის შესანარჩუნებლად აუცილებელი, ძირითადი მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობის სერიოზულად შეზღუდვა.[50]

15. მიმდინარე კონფლიქტი ძირითადად მოიცავს ალ ანბარის, ნანევას, სალაჰ-ალ-დინის, დიალას, კირკუკისა და ბაბელის ცენტრალურ და ჩრდილოეთ პროვინციებს. ბაღდადი კვლავაც

---

[43] იხ. ერაყის გვამების დათვლის სააგენტოს ანგარიში, ხელმისაწვდომია 2014 წლის 22 ოქტომბერს, https://www.iraqbodycount.org/database/.

[44] მოყვანილია წინასწარი ციფრები, UNAMI-ის თანახმად რეალური ციფრები შესაძლოა ბევრად უფრო მაღალი აღმოჩნდეს. მონაცემები ითვალისწინებს დაღუპულ სამოქალაქო პოლიციელთა რაოდენობას, მაგრამ არ ითვალისწინებს იმ ISF-ის, *Peshmerga-ს*, SWAT-ისა და მათთან დაკავშირებულ შეიარაღებულ ფორმირებებში მოკლულთა რეგისტრირებულ რაოდენობას (2,500-ზე მეტი), რომლებიც 2014 წლის იანვარი-თებერვლის პერიოდში დახოცილ ISF-ის წევრებთან ერთად იბრძოდნენ; UNAMI-ი, *გაეროს ადამიანური დანაკარგების ციფრებში 2014 წლის სექტემბრისთვის, ანბარის პროვინცია გათვალისწინებული არ არის*, 2014 წლის 1 ოქტომბერი, http://bit.ly/1vKq2p8. UNAMI-იმ ასევე მიიღო დაუდასტურებელი მონაცემები მსხვერპლთა რაოდენობის შესახებ ჯანდაცვის დირექტორატიდან ალ-ანბარში. ამ მონაცემთა თანახმად, 2014 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში მოკლულია 1,600-ზე მეტი და დაჭრილია 5,500 ადამიანი (ინფორმაცია იმის შესახებ, იყვნენ თუ არა ესენი სამოქალაქო პირები, ხელმისაწვდომი არ არის); იხ. UNAMI-ის ადამიანური დანაკარგების შესახებ ყოველთვიური ანგარიშები, რომლებიც ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://www.uniraq.org/index.php?option=com_k2&view=itemlist&task=category&id=159:civilian-casualties. ასევე იხ. UNAMI/OHCHR, *ანგარიში შეიარაღებულ კონფლიქტში სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ: 2014 წლის 6 ივლისი – 10 სექტემბერი*, 2014 წლის 2 ოქტომბერი, გვ. 1, http://www.refworld.org/docid/542d3eb64.html.

[45] გაეროს განახლებული დანაკარგების ამსახველი ციფრებისა და პროვინციების მიხედვით შესადარი მონაცემებისთვის, იხ. http://www.uniraq.org/index.php?option=com_k2&view=itemlist&task=category&id=159:civilian-casualties.

[46] ეს შეიძლება შევადაროთ რეგისტრირებული დანაკარგების ციფრს, რომელიც 2013 წელს 6,522, 2012 წელს - 2,174, 2011 წელს 2,645, 2010 წელს 3,605, 2009 წელს 3,481 და 2008 წელს 6,798 შეადგენდა; ერაყის მთავრობის მონაცემები დანაკარგების შესახებ, რომელიც შედგენილია AFP-ის მიერ, ხელმისაწვდომია 2014 წლის 22 ოქტომბერს, http://bit.ly/1vNKju8.

[47] UNAMI/OHCHR, *ანგარიში ერაყში, შეიარაღებულ კონფლიქტში სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ: 2014 წლის 6 ივლისი – 10 სექტემბერი, 2014 წლის* 2 ოქტომბერი, გვ. 1, http://www.refworld.org/docid/542d3eb64.html.

[48] UNAMI-ის მიერ დაფიქსირებულია 12,000 დაჭრილი კონფლიქტის დროს 2014 წლის იანვარი-სექტემბრის პერიოდში; UNAMI, ადამიანური დანაკარგების შესახებ მონაცემები *2014 წლის სექტემბრისთვის (ანბარის პროვინციის გამოკლებით), 2014 წლის* 1 ოქტომბერი, http://bit.ly/1vKq2p8.

[49] თავშესაფრის კლასტერის შეფასებით, კონფლიქტის შედეგად ყველაზე დიდი ზიანი შენობა-ნაგებობებსა და ინფრასტრუქტურას მიადგა ალ-ანბარში. ინფორმაციის მომწოდებელ პირთა თანახმად, ალ-ანბარში ფიზიკური ნაგებობების 35 პროცენტი სრულად განადგურებულია და კიდევ 38 პროცენტს ზომიერიდან მძიმე ხარისხის დაზიანებები მიადგა; თავშესაფრის კლასტერი, *სწრაფი შეფასება: წარმოშობის ადგილის შეფასების ანგარიში*, 2014 წლის ოქტომბერი, გვ. 4, http://shar.es/1moZLp. იხილეთ ასევე IRIN-ი, *მძიმე დანაკარგები ერაყის "მივიწყებულ" ანბარის პროვინციაში*, 2014 წლის 6 ოქტომბერი, http://shar.es/1moWK6.

[50] იხ. ქვემოთ მოყვანილი პარაგრაფი "*ჰუმანიტარული მდგომარეობის შესახებ*".

რჩება ხშირი თავდასხმების ცენტრად, რომლებსაც მასობრივი მსხვერპლი მოჰყვება და ხშირად, მაგრამ არა მხოლოდ იმ რაიონებზე, რომლებიც ძირითადად შიიტებითაა დასახლებული,[51] სადაც რელიგიურ სექტებს შორის ესკალაცია აღინიშნება.[52] უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მდგომარეობა შედარებით სტაბილური რჩება ქურთისტანის რეგიონში, სადაც უსაფრთხოების ძალები კვლავაც მაღალი საბრძოლო მზაობის რეჟიმში იმყოფებიან და შემოღებული აქვთ უსაფრთხოების მკაცრი ზომები IS-სა და მასთან დაკავშირებული დაჯგუფებების მხრიდან იერიშების თავიდან ასაცილებლად.[53] ასევე ადგილი აქვს შეიარაღებულ შეტაკებებს ქურთების ფორმირებებსა და ISIS-სა და მასთან დაკავშირებულ შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორის ქურთისტანის რეგიონის საზღვრებთან, ვინაიდან ამ უკანასკნელებმა შეაღწიეს ასევე იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც ადრე ქურთების შეიარაღებული ძალები აკონტროლებდნენ. სამხრეთის პროვინციებში ასევე ხდება უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტები, და მათ შორის დანაღმული ავტომობილების აფეთქებები[54] და ასევე კონკრეტულ პირთა მკვლელობები /მოტაცებები და რელიგიური სექტების საპასუხო თავდასხმები ცალკეულ პირებზე, და მათ შორის პოლიტიკურ პარტიებზე, რელიგიურ და ადგილობრივი თემების წინამძღოლებზე, სახელმწიფო მოხელეებსა და დარგობრივ სპეციალისტებზე.[55]

### *ჰუმანიტარული სიტუაცია*

16. შეიარაღებული კონფლიქტის, იძულებით გადაადგილებისა და ალყაში მოქცევის ტაქტიკის გამოყენებისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ინფრასტრუქტურაზე თავდასხმის გამო, მომსახურების მიწოდების შეწყვეტის შედეგად, ჰუმანიტარული საჭიროებები სწრაფად გაიზარდა და დაემატა ერაყში უკვე არსებულ მნიშვნელოვან ჰუმანიტარულ საჭიროებებს იმ 200,000-ზე მეტი სირიელი ლტოლვილის ჩათვლით, რომლებმაც თავშესაფარი ერაყში, და ძირითადად ქურთისტანის რეგიონში იპოვეს. ამჟამად, ერაყში 5

---

[51] იხ. ქვემოთ მოყვანილი პარაგრაფი 4.

[52] იხ. ზემოთ მოყვანილი პარაგრაფი 9.

[53] 2014 წლის 17 სექტემბერს, ქურთისტანის რეგიონის უშიშროების საბჭომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აფრთხილებდა მოსახლეობას, რომ მეტი ყურადღება მართებთ, რადგან IS-ს სამხედრო პირებმა შესაძლოა განახორციელონ რეგიონში შეღწევისა და ტერორისტული აქტების მცდელობა; Ekurd.net, ქურთისტანის რეგიონი-ერაყის ახალი ამბები, 2014 წლის 17 სექტემბერი, http://bit.ly/1CUDbQM. 2014 წლის 23 აგვისტოს, ქერთული რეგიონის დედაქალაქ ერბილში აფეთქდა დანაღმული ავტომობილი და ქურთების შეიარაღებული ძალები ვარაუდობენ, რომ ეს IS-ის “ფარული უჯრედის” მიერ იქნებოდა ჩადენილი; „Christian Science Monitor-ი“, ერაყის ჩრდილოეთით, ისლამური სახელმწიფოს წევრები ტერორისტულ აქტებზე გადადიან, 2014 წლის 25 აგვისტო, http://yhoo.it/1qsuxov; მაკ კლაჩი, ქურთების რაიონ ირბილში, პირველი დანაღმული ავტომობილი აფეთქება ზადებს ისლამური სახელმწიფოს სამხედროების მხრიდან თავდასხმის შიშს, 2014 წლის 24 აგვისტო, http://bit.ly/1tgbGvm.

